ПРОЛЕТАРЕБО ყველა ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 125 (18667) ოთხშაბათი, 1 ივნისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

წინ თიბათვეა!

ᲐᲛᲘᲜᲓᲘᲗ და გაზაფხულზე ჭირვეული ამინდები იყო როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მეტწილ რეგიონებში. ჯერ გვალვამ გამოაშრო მინა და დაყოვნდა როგორც ბუნებრივი, ისე ნათესი ბალახების აღმოცენება. მერე კი, როცა ზოგან ბალახები სათიბად მზად იყო, სეტყვამ და ხშირმა წვიმებმა საშუალება არ მისცა საკვებმომპოვებლებს მთელი ძალით გაეჩაღებინათ თიბვა. გაზაფხულის მინურულს, როგორც იქნა, გამოიდარა და სოფლის მშრომელებს საშუალება მიეცათ დაეწყოთ პირუტყვის საკვების დამზადება.

მრავალწლოვანი ბალახების აღება და სენაჟის დამზადება დაიწყო კახეთის რეგიონის თითქმის ყველა საზოგადოებრივმა მეურნეობამ. თიბვა დაიწყო აგრეთვე ქართლის რაიონების მთელ რიგ სოფლებშიც, დასავლეთ საქართველოს მეტწილ რაიონებში კი შუალედური კულტურების მოსავალს იღებენ.

სწორედ ამ დროს პრესაში გამოქვეყნდა და რადიოთი და ტელევიზიით გადასცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წერილი საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. წერილში ნათქვამია:

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ამ წერილით მომართავენ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კომუნისტებს, კომკავშირელებს, სოფლის ყველა მშრომელს მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებაში წამოჭრილ სიძნელეებთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობაა განეული საკუთარი საკვები რესურსების გასაადიდებლად, რის შედეგადაც მეათე ხუთწლედში მთელი საკვების წარმოება 50 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მეთერთმეტე ხუთწლედის ორი წლის მანძილზე — კიდევ 8 პროცენტით, საზოგადოებრივი პირუტყვის სრულფასოვანი საკვებით უზრუნველყოფის პრობლემა კვლავინდებურად გადაუჭრელი რჩება, ხოლო სოფლის მოსახლეობის პირად საკუთრებაში არსებული პირუტყვის მოთხოვნილება სანახევროდაც არ კმაყოფილდება".

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა მართლაც არასახარბიელოა. ეს მაშინ, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ 1975 წელს სპეციალურ პლენუმზე საფუძვლიანად იმსჯელა მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაზე და მიღებულ დადგენილებაში პირველი რიგის ამოცანად პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცება იყო მიზნად დასახული. რამდენიმე წლის შემდეგ ამ პლენუმის დადგენილების შესრულებას მიეძღვნა პლენუმი, სადაც კვლავ უწინარესად საკვების პრობლემა იყო დაყენებული დღის წესრიგში. ამ პლენუმების შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა, დიდი სასიკეთო ძვრები მოხდა მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში, მაგრამ საკვები ბაზის განმტკიცება, როგორც წერილშია აღნიშნული, კვლავ არადამაკმაყოფილებელია. საქმეს ისიც ართულებს, რომ მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში დამზადებული საკვები ძალზე უხარისხოა. სწორედ ამის გამო იყო, რომ შარშან 100 ათას ტონაზე მეტი საკვები ერთეული დაიკარგა. უხარისხო საკვებმა ფერმებს უკეთესი ვერ მოსცა, უქმად დაიკარგა შრომითი რესურსები, გაძვირდა პროდუქტები. მთავარი კი ის არის, რომ ბევრი მეურნეობა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დავალებას წლითიწლობით ვერ ასრულებს. სასოფლო რაიკომების, რაისაბჭოს აღმასკომების, აგროსამრეწველო გაერთიანებების, სოფლის კომუნისტების სადღეისო ამოცანა ის არის, რომ გულდასმით გაეცნონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წერილს, უმოკლეს ვადაში საფუძვლიანად გააანალიზონ მასში მოყვანილი არგუმენტები და ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ, რათა მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე შუაგული წელი გარდატეხის წელი იყოს პირუტყვის საკვები ბაზის ერთხელ და სამუდამოდ განმტკიცების საქმეში.

მტკიცე საკვები ბაზის შექმნას და საკმარისი რაოდენობის უხეში და წვნიანი საკვების დაგროვებას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 1983 წლის 18 აპრილს გამართულმა თათბირმა და 27 აპრილს რესპუბლიკურმა თათბირმა, რომლებიც სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებს მიეძღვნა. რეკომენდებულია და უთუოდ უნდა შეიქმნას საკვებწარმოების სპეციალიზებული რგოლები, ბრიგადები, მექანიზებული რაზმები. ისინი დროულად უნდა უზრუნველყოთ საჭირო ტექნიკით, სანავაგ-საპოხი მასალებით, სათადარიგო ნაწილებით, თამამად უნდა დავნერგოთ საკვებმომპოვებელთა მორალური და მატერიალური სტიმულირების ყველაზე სრულყოფილი ფორმები; შრომითი მეტოქეობის განვითარების ყოველმხრივი ხელშეწყობის დროს მკაცრად უნდა ვადევნოთ თვალი იმას, რომ უსათუოდ სრულდებოდეს შეჯიბრების ქმედითობის მთავარი პირობები — უზრუნველყოფილი იყოს შეჯიბრების მასობრიობა, საჯაროობა, შედეგების შესადარება.

როგორც აღვნიშნეთ, კახეთის რაიონებში ბალახის თიბვა და სენაჟის ჩადება მიმდინარეობს, მალე გაჩაღდება თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. ეს პერიოდი მეტად პასუხსაგებია. ამინდი ახლა არც თუ ისე ურიგოა, საკვებმომპოვებლებმა ყოველი ხელსაყრელი საათი მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ, მინდვრად არ უნდა დატოვონ არც ერთი კილოგრამი თივა და ნამჯა. ამასთან დროულად და ხარისხიანად უნდა დათესონ სანან�კულტურები. დასავლეთ საქართველოს რაიონებშიც შუალედური კულტურების აღების შემდეგ მინა სათანადოდ უნდა გამოიყენონ. მთის რაიონების სოფლებში ყველაფერი უნდა იღონონ, რათა ბუნებრივი ბალახები დროზე გათიბონ და ხელსაყრელ ადგილებში დაზვინონ. ეს დიდი რეზერვი მაქსიმალურად უნდა ჩადგეს მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების სამსახურში.

მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომუნისტებმა ერთხელ კიდევ, მეტად საქმიანად და პრინციპულად უნდა გააანალიზონ წინა წლების საკვების დამზადების კამპანიის ხარვეზები და შეცდომები და აღარ გაიმეორონ წელს.

ახლა ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ნამდვილად შევქმნათ საკვების დიდი მარაგი, საგრძნობი გადამეტებით შევასრულოთ მაღალხარისხოვანი სენაჟისა და სილოსის ჩადების, ბალახის ფხვნილის, თივის, ნამჯის, კომბინირებული საკვების დამზადების დავალებანი, უზრუნველყოთ საკვები ძირხვენების უხვი მოსავლის მოყვანა. ამ საქმეში დიდი წელილის შეტანა შეუძლიათ აგრეთვე საშეფო ორგანიზაციების მშრომელთა ქმედითს დახმარებას.

ზაფხულის პირველ თვეს ჩვენში თიბათვეს უწოდებენ. თიბათვე მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის განმსაზღვრელია და იგი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ! — ასეთია ახალი ამოცანა.

სიმღიფის გამოცდა

31 მაისს ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში დაიწყო გამოსაშვები გამოცდები

როგორ ელოდნენ ამ დღეს. სკოლაში პირველად შესვლის ღელვა და სიხარული თითქოს ვარდისფერ ბურუსში შთაინთქა. დღევანდელი დღე სულ სხვაა ათასობით ქალიშვილისა და ვაჟბუკისათვის, ყველაზე ძალუმად რომ იგრძნეს პასუხისმგებლობა პირველი გამოსაშვები გამოცდის წინ.

უკან დარჩა მოწაფეობის საყვარელი წლები. წინ ათასი ფიქრი და ოცნებაა, ზოგს ვინ იცის ჯერ კიდევ რომელი კლასიდან აურჩევია მომავალი პროფესია. ახლა კი გამოცდაზეა —. ცხოვრების პირველ გამოცდაზე. ახლა უნდა დამტკიცონ სულიერი, მოქალაქეობრივი სიმწიფის უფლება. მათთან ერთად მათი მასწავლებლებიც და მოძღვრებიც აბარებენ ახლა გამოცდას. გამოჩნდება, ვინ როგორ წვრთნიდა ყრმას.

გუშინ, 31 მაისს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ტრადიციისამებრ პირველი გამოცდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოეწყო. ქართულ სკოლებში მოსწავლეებს შესთავაზეს შემდეგი თემები: „აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში", „სასულიერო და საერო პირთა ურთიერთობა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში", „არაფერი აშშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე".

სურათზე: თბილისის კ. დ. უშინსკის სახელობის № 1 ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაში მიმდინარეობს წერითი გამოცდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში.

Გ. ᲒᲔᲜᲑᲘᲣᲠᲘᲡ ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს სწავლების ფაკულტეტი იხსენებ ცხინვალში. აგვისტოში აქ გაიმართება სტუდენტთა პირველი მიღება.

პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები დღის, საღამოს, დაუსწრებელ განყოფილებებზე დაიწყება ერთდროულად — 1 აგვისტოდან.

„სკკპ ისტორიის", „ფილოსოფიის", „პოლიტიკური ეკონომიის" და „მეცნიერული კომუნიზმის" სპეციალობების დღის განყოფილებაზე მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან მხოლოდ ის აბიტურიენტები, რომლებსაც აქვთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაცია. როგორც წესი, ესენი უნდა იყვნენ შრომისა და ცხოვრების გამოცდილების მქონე ქალიშვილები და ვაჟბუკები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ძირითადად, სკკპ წევრები ან წევრობის კანდიდატები, კომკავშირული აქტივისტები, რომლებიც დაინტერესებული არიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებათა შესწავლით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოსა და ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტების საინჟინრო და ეკონომიკის სპეციალობებზე წარმოებას მოეწყვეტლივ სწავლის არსებითი უპირატესობა მიიღეს რუსთავის შეტალურგიული და ქიმიური ქარხნების, თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნისა და კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი გაერთიანების, „საქქვანახშირის" გაერთიანების საწარმოების, ქუთაისის საავტომობილო ქარხნისა და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის, „ჭიათურმანგანუმის" და გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებების მუშებმა. ამ საწარმოთა მიმართულებით უმაღლესში შემსვლელი მუშები, რომლებიც დადებითს შეფასებას მიიღებენ მისაღებ გამოცდებზე, უკონკურსოდ ჩაირიცხებიან ინსტიტუტში.

რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში, ხელოვნების, უცხო ენათა, ფიზკულტურის სპეციალობებისა და თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის გარდა, პირველი მისაღები გამოცდა წერითი იქნება.

ახალი სპეციალობა — „სამედიცინო მოწყობილობა" — იხსნება საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში „დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის" სპეციალობის ნაცვლად დაიწყება მიღება „არაფილიან სპეციალობაზე „დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და რუსული ენა".

ასეთია რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მომავალი მისაღები გამოცდების ახალი ნიმუშები.

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მისაღები გამოცდების გასული წლის შედეგები და წელს მისი ორგანიზებულად მოწყობის ამოცანები განიხილა თათბირმა, რომელიც გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. თათბირში მონაწილეობდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები, უმაღლესი სასწავლებლების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პრესის წარმომადგენლები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა დ. ჩხიკვაშვილმა.

ინფორმაცია გააკეთეს თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ოკუჯავამ, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. ლილაძემ, ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ნ. ვალიშვილმა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორმა, პროფესორმა ო. ჭურღულიამ, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროორექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ასათიანმა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ო. ნათიშვილმა, ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა დ. ბალაძემ, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა, დოცენტმა ი. გაგლოევიმ, საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ე. გუფუშვილმა, გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა, დოცენტმა რ. კანდელაკმა.

თათბირის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.

თათბირმა გააანალიზა 1982 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგები, მიმღები და საგამოცდო კომისიების საქმიანობა, განსაზღვრა წელს ზაფხულში საკონკურსო გამოცდების მოწყობის ძირითადი ამოცანები.

უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილმა ახალმა, ჯანსაღმა ატმოსფერომ უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში გზა გაუხსნა ყველაზე ღირსეულ, ნიჭიერ, მცოდნე ახალგაზრდებს. ეს არის იმ დიდი და მზაზმიმართული მუშაობის მთავარი შედეგი, რომელსაც ეწევიან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა, უმაღლესი სასწავლებლების რექტორატები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები. დღეს უმაღლეს სასწავლებელში მოდის არა მარტო ნიჭიერი, არამედ მცოდნე ახალგაზრდობა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სოციალურად აქტიური ადამიანები, რომლებიც გულგრილად არ ეკიდებიან მათ გარშემო მომხდარ მოვლენებს, ესმით პარტიის ამოცანები, ესწრაფვიან მათს განხორციელებას. ეს კი რესპუბლიკის მომავლის საუკეთესო გარანტიაა.

სტუდენტი ახალგაზრდობის შემადგენლობაში თვისებრივი ცვლილებები დაკავშირებულია იმასთან, რომ იგი თავისი შრომითა და ცოდნით იკაფავს გზას მეცნიერებაში, თავისი მომავალი სპეციალობისაკენ. მისი მზარდი სოციალური აქტიურობა კიდევ ერთხელ ცხადყო რესპუბლიკაში ამას წინათ გამართულმა სტუდენტური აქტივის კრებამ.

უმაღლეს სკოლას უნდა ჰქონდეს მაღალი ავტორიტეტი, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა. და თუმცა ამ მიმართულებით გადაიდგა მეტად არსებითი ნაბიჯი, გაიხარეოდა დიდი მუშაობა ცოდნისა და შრომის ობიექტური შეფასებისათვის, ეს პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მიუხედავად იმისა, რომ მისაღები გამოცდების დროს არაობიექტურობის, დარღვევების გამო საჩივრები ყოველწლიურად სულ უფრო კლებულობს, ჯერ-ჯერობით მაინც არის, და ხშირად საფუძვლიანიც. ეს მოწმობს, რომ საჭიროა კვლავაც სისტემატურად ვამდიდრებდეთ მუშაობის ნაკად ფორმებს და ვეძებდეთ ახალს, სრულყოფდეთ მისაღები გამოცდების ორგანიზაციას.

მეორე მხრივ, აღნიშნეს ორატორებმა, ჯერ კიდევ არიან ჩვენი საზოგადოების ანტიპოდები, ზელმრუდი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ მიაღწიონონ უმაღლეს სასწავლებელში უღირსნი, ზოგჯერ კი უბრალოდ ხელიც კი მოითბონ მისაღები გამოცდების „გარშემო ამტყდარი აჟიოტაჟით, ახალგაზრდობის მზარდი სურვილით მიიღოს უმაღლესი განათლება, და როგორც ამის შედეგი, მკაცრი საკონკურსო შერჩევით.

ამისათვის უნდა გავაძლიეროთ სიფხიზლე, საამედო დაბრკოლება შევუქმნათ მისაღები და საგამოცდო კომისიების შემადგენლობაში უღირსი, ხელმრუდი ადამიანების მოხვედრას.

უმაღლესი სასწავლებლების კონკურსებში, აღინიშნა თათბირზე, დღეს, როგორც წესი, მონაწილეობს კარგად მომზადებული და შრომისმოყვარე ახალგაზრდობა, რომელიც ესწრაფვის ცოდნას და სწავლა შეუძლია. უმაღლეს სასწავლებლებს ეკისრებათ დიდი პასუხისმგებლობა — უმაღლეს სასწავლებელში სწავლისათვის შეარჩინონ ყველაზე ღირსეული, მცოდნე, შრომისუნარიანი აბიტურიენტები.

და კიდევ: უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი ახალგაზრდობის შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აბიტურიენტთა პოლიტიკურ, მოქალაქეობრივ თვისებებს, მრწამსს, ვინაიდან ზვალნდელი სტუდენტები ბურჟუაზიული და რეფორმისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ პრინციპული, კომუნისტური პარტიის იდეალებისათვის ბრძოლაში პოლიტიკურად გამოწრთობილი საიმედო მებრძოლები უნდა იყვნენ.

თათბირზე აღიძრა მნიშვნელოვანი საკითხი ახალგაზრდა დედების შესახებ, რომელთაც სურთ მიიღონ უმაღლესი განათლება. ასეთ ქალებს მისაღებ გამოცდებზე და სწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეთ, ხაზი გაუსვეს ორატორებმა. უმაღლეს სასწავლებლებში მათთვის უნდა შეიქმნას მაქსიმალური ხელშეწყობის ვითარება, განსაკუთრებული გულისხმიერებისა და კეთილმოსურნეობის ატმოსფერო.

ყველა აბიტურიენტი როდი ჩაირიცხება უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში. მაგრამ ისინი, ვინც ვერ გაიმარჯვებენ კონკურსში, უყურადღებოდ არ უნდა დარჩნენ. მათ წინაშე ფართოდ არის გაღებული სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კარი, მათ ელიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მინდვრები და ფერმები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზიანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ა. საყვარელიძე, ნ. ენდელაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე. (საქინფორმი).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ

ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲔᲕᲘᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘ 200

საუკუნოვანი თანაღრიცხვისა და ეროვნული კალენდარი

ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ, როგორც წარმოების სფეროს დამოუკიდებელ დარგს, ეროვნული შემოსავლის დარგობრივ სტრუქტურაში მეტად დიდი ხვედრითი წილი აქვს.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და საქონელმიმოქცევის სფეროს დარგების შემდგომ მშენებლობა წარმოადგენს სახალხო მეურნეობის იმ დიდ უბანს, რომელიც საბჭოთა საქართველოს ეროვნული შემოსავლის მეათედ ნაწილს იძლევა. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მის ადგილს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში.

ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე მეტს აშენებს. შესაბამისად ჩვენს რესპუბლიკაშიც სწრაფი ტემპით ვითარდება როგორც სამრეწველო, ისე ბინათმშენებლობაც, მტკიცდება და ვითარდება სამშენებლო ინდუსტრია, მისი ტექნიკური ბაზა.

ახლა ნათელი პროგრამა აქვს დასახული ჩვენს ხალხს უახლოეს ათწლეულში, რომლის უმაღლესი მიზანია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება. ამიტომ არის, რომ კაპიტალური მშენებლობა ჩვენში სრულიად სამართლიანად გამოცხადებულია უპირველეს სახელმწიფოებრივ ამოცანად. მის წარმატებით ეადაწყვეტაში მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს დიდი რუსი ხალხი.

დღეს მკითხველს ვთავაზობთ კიდევ ერთ დოკუმენტს, რომელიც ნათლად გამოხატავს ორი ერის — რუსი და ქართველი ხალხების ძმურ და უანგარო მეგობრობას. ეს გახლავთ ბრძანება № 182. იგი გამოსცა სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრმა ამხ. ბ. ა. ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲝᲕᲘᲩᲛ. დოკუმენტში ნათქვამია:

— ვანიჭებთ რა დიდ მნიშვნელობას ქართველი ხალხის ცხოვრებაში ღირსსახსოვარ მოვლენას — გეორგიევსკის ტრაქტატის დადების — რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობით დამოყვრების 200 წლისთავის შესრულებას, ამასთან მხედველობაში ვიღებთ რა ამ დღესასწაულის აღსანიშნავად საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს კოლექტივების გაზრდილ სოციალისტურ ვალდებულებებს ახალი სიმძლავრეებისა და ობიექტების ვადამდე საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით, ვბრძანებ:

— საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ (მინისტრი ამხ. ვ. გოგოლაძე) განუხრელად იხელმძღვანელოს და უთუოდ შეასრულოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამ პლენუმზე ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვიდან გამომდინარე დებულებანი და დავალებანი. შეიმუშაოს და სამოქმედო პროგრამად გაიხადოს ორგანიზაციულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ამ ისტორიულ თარიღთან დაკავშირებული ობიექტების ამოქმედებას.

ეს პროგრამა საკმაოდ დიდ მოცულობითს სამუშაოებს ითვალისწინებს. კერძოდ, საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს ქ. რუსთავში სტამბა, თბილისში მაღაზია „ბავშვთა სამყარო"; 4 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საადრეგაგზო კორპუსი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობებითურთ ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში; თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის შენობის ცენტრალური ნაწილი; საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრი; საქართველოს სამხედრო გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე აიგოს „თერგდალეულთა" სკულპტურული კომპოზიცია, გადასახედი მოედანი და სხვა მრავალი.

— ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობისადმი სისტემატური კონტროლისათვის გამოყონ სამინისტროს პასუხისმგებელი ხელმძღვანელები.

მთავარმა საწარმოო-გამანაწილებელმა სამმართველომ (ამხ. პოვშკო) საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს 1983 წელს დამატებით გამოუყოს 1100 ტონა ლითონკონსტრუქციები და 30 ტონა ალუმინის ნაგლინი;

— მთავარმშენმომარაგების სამმართველომ (ამხ. სადაკოვი) დამატებით გამოყოს 8 ათასი კუბური მეტრი სახერხი მორი და 200 ათასი კვადრატული მეტრი პარკეტი;

მთავარმშენმექანიზაციის (ამხ. პოლიაკოვი), მთავარმშენმომარაგების (ამხ. სადაკოვი), სატრანსპორტო (ამხ. კუნიცინი) სამმართველოებმა დამატებით გამოყონ დიდძალი საჭირო მანქანები, დანადგარები და მექანიზმები, მათ შორის ექსკავატორები, ბულდოზერები, მიწაჩასაწყობები, ავტოგრეიდერები, კოშკურა ამწეები, ასფალტდამგებები; სანევარი ავტომობილები, ცემენტსაზიდები, ცვლადი დენის ელექტროძრავები,

— მთავარმა სამრეწველო-ეკონომიკურმა სამმართველომ (ამხ. ვეშკინი) ზემოალნიშნული სამუშაოებისათვის დამატებით გამოყოს ხელფასის ფონდები და სამივლინებო ლიმიტები.

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ამხ. ვ. ტ. გოგოლაძემ ყოველთვიურად გააკონტროლოს უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა და მიიღოს საჭირო ღონისძიებანი მათი უთუო ამოქმედებისათვის.

აღნიშნული ბრძანების შესრულების კონტროლი დაეკისრა სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრის მოადგილეს ამხ. ს. კ. ცარუკიანს.

დიახ, დიდია ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის ძალა, ფასდაუდებელია იგი კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნიზმის მშენებლობაში. სწორედ მან შეაძლებინა ქართველ მშენებლებს ვადამდე და მაღალხარისხოვნად დაემთავრებინათ გეორგიევსკის ტრაქტატის აღსანიშნავად გათვალისწინებული ისეთი უმნიშვნელოვანესი და რთული სამშენებლო ობიექტები, როგორიც არის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მძლავრი გაზსაწმენდი კომპლექსი და თბილისში რესპუბლიკის მთავარი მოედანი.

ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲔᲗᲘᲡᲝᲕᲔᲑᲐ Ა. Ი. ᲞᲔᲚᲨᲔᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ადამიანები ღრმად დამწუხრა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არვიდ იანის ძე პელშეს გარდაცვალების ამბავმა. შეწუხდა კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის, მგზნებარე ინტერნაციონალისტის, ბოლშევიკ ლენინელთა სახელოვანი კოჰორტის ერთ-ერთი უხუცესი წარმომადგენლის გულისცემა.

...კავშირების სახლი. შენობის ფრონტონზე სამგლოვიარო ძაძებშია ა. ი. პელშეს პორტრეტი, 31 მაისს აქ, სვეტებიან დარბაზში, ყვავილებით მორთულ კვარცხლბეკზე დაასვენეს განსვენებულის ცხედარი.

კვარცხლბეკის წინ წითელ ბალიშებზეა ჯილდოები, რომლებითაც აღინიშნა სამშობლოს წინაშე ა. ი. პელშეს დიდი დამსახურება: სოციალისტური შრომის გმირის, ორი ოქროს მედალი „ნამგალი და ურო", შვიდი ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, ბევრი მედალი, აგრეთვე მთელი რიგი მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების ჯილდოები.

ელეს სამგლოვიარო მელოდიები, კუბოსთან დგეს გვირგვინი სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან. აქვეა გვირგვინი სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტ,ეტისაგან.

დარბაზში შემოაქვთ ახალ-ახალი გვირგვინები ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებისა და მინისტრთა საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს აღმასკომის, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მოსკოვის საოლქო აღმასკომის, სკკპ სამხრეთ აღმასკომების, სკკპ საოლქო კომიტეტებისა და საოლქო აღმასკომების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, განსვენებულის ნათესავებისა და ახლობლების სახელით.

11 საათია. საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ჰ. ა. ალიევი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, კ. ვ. რუსაკოვი.

შემდეგ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები უახლოვდებიან ა. ი. პელშეს ნათესავებსა და ახლობლებს და ღრმა სამძიმარს უცხადებენ.

სამგლოვიარო ვახტზე დგანან დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები.

არ წყდება მოსკოველთა ნაკადი სვეტებიან დარბაზში. დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნების მუშები, დაწესებულებათა თანამშრომლები, მოსკოვის ოლქის მშრომელები, პარტიული, საბჭ

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

სამშენებლო კანონმდებლობა ირღვევა

მასალების უკონტროლო ხარჯვა დიდ ზარალს აყენებს საერთო საქმეს

ცეკავშირის სისტემის საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების სამეცნიერო გამოკვლევების შედეგებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის, სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალური რესურსების გამოყენების, საშემსრულებლო და საანგარიშო დისციპლინის მდგომარეობის თაობაზე პარტიისა და მთავრობის დავალების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ იმსჯელა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ მოწყობილი შემოწმებით დადგინდა, რომ ცეკავშირის სისტემის საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებში გაწეული გარკვეული მუშაობის მიუხედავად, არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სამეცნიერო გამოკვლევების შედეგების და ახალი ტექნიკის დანერგვა, სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება. საშემსრულებლო და საანგარიშო დისციპლინა კი სათანადო დონეზე არ დგას.

საპროექტო ინსტიტუტის „ცენტროსოიუზპროექტის“ თბილისის ფილიალსა და „ცეკავშირის“ საპროექტო კანტორაში ვხვდებით პროექტების გაძოშვების ვადების ჩაშლას. ამ ორგანიზაციებში დაუმთავრებელი პროექტირების მოცულობა აჭარბებს ნორმატიულს, ხოლო დებიტორული დავალიანება 1983 წლის იანვრისათვის ფილიალში შეადგენს 12,9 ათას მანეთს, საპროექტო კანტორაში — 610 ათას მანეთს, ტრესტებში „საქკოოპმშენსა“ და „საქკოოპრემმონტაჟსპეცმშენში“ ამავე პერიოდისათვის დავალიანებამ შესაბამისად 5,9 და 3,0 მილიონი მანეთი შეადგინა.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებულია მიმდინარე ხუთწლედში მატერიალური, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა რესურსების თვალსაჩინო ეკონომია. მაგრამ ცეკავშირის სისტემის საპროექტო კანტორასა და სამშენებლო ორგანიზაციების უმრავლესობაში ამ მოთხოვნათა შესრულება ფორმალური ხასიათისაა. ამ ბოლო დრომდე ზემდგომი ინსტანციების მიერ საერთოდ არ იყო დადგენილი მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის გეგმა. ინსტიტუტ „ცენტროსოიუზპროექტის“ ფილიალში 1981-1982 წლებში დაუშვეს 4000 კუბ. მეტრი მათბუნებელის (61 ათასი მანეთის) და 300 ტონაზე მეტი ლითონის გადახარჯვა, ხოლო ცეკავშირის საპროექტო კანტორაში 1400 კუბ. მეტრი მათბუნებლისა (17 ათასი მანეთის) და 50 ტონაზე მეტი ლითონის გადახარჯვა.

ტრესტ „საქკოოპმშენის“ თბილისისა და წყალტუბოს რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნებში განაგრძობენ ჯერ კიდევ 1968-1973 წლებში გაუქმებული გადახურვის ფილების გამოშვებას, ამ მიზეზით 1981-1982 წლებში შესაბამისად გადახარჯეს 600 და 300 ტონა ლითონი. არ ხდება გამოშვებული კონსტრუქციების დიფერენციაცია ზედვითი უნარიანობის მიხედვით, რის გამოც გადაიხარჯა 170 ტონამდე ლითონი.

პრაქტიკულად არ ხორციელდება საავტორო ზედამხედველობა, რის გამოც მშენებლობა მიმდინარეობს პროექტებიდან მნიშვნელოვანი გადახრებით, დაბალ დონეზეა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი. სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას ობიექტების მშენებლობის პროცესში გადაიანგარიშებენ გაძვირებისაკენ გადახრით, არ იცავენ მშენებლობის ხანგრძლივობის ვადებს.

სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უკონტროლობის მიზეზით ხშირია ისეთი რაოდენობით მასალების ჩამოწერა, რაც არ შეესაბამება შესრულებული სამუშაოს მოცულობას. 1982 წელს ტრესტ „საქკოოპმშენის“ თბილისის სპეციალიზებულმა, ზესტაფონის, მარნეულისა და ცხაკაიას მოძრავ-მექანიზებულმა, ტრესტ „საქკოოპრემმონტაჟსპეცმშენის“ № 1, 7, 9 მოძრავ-მექანიზებულმა კოლონებმა და სპეციალიზებულმა სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ ზედმეტად ჩამოწერეს სამშენებლო მასალები, საერთო თანხამ 29,9 ათასი მანეთი შეადგინა.

ტრესტ „საქკოოპმშენის“ წყალტუბოს რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში გადახურვის არასტანდარტული მოზაიკური ფილების გამოშვებისას გადახარჯეს 600 მანეთის ღირებულების 30 კუბ. მ. ბეტონი, ხოლო ამ ფილებში მომხმარებლებიდან 1982 წელს უკანონოდ მიიღეს 9656 მანეთი. ამავე ქარხნის, აგრეთვე ქსანის, თბილისისა და ცხაკაიას მოძრავ-მექანიზებულმა კოლონებმა და ტრესტ „საქკოოპრემმონტაჟსპეცმშენის“ საშენ მასალათა კომბინატმა გარეშე ორგანიზაციებზე უნებართვოდ გასცეს სხვადასხვა სამშენებლო მასალა. გარდა ამისა, წყალტუბოს რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანამ და საშენ მასალათა კომბინატმა კერძო პირებზე გასცეს 3220 მანეთის სხვადასხვა სამშენებლო მასალა საბითუმო ფასებში და ამით სახელმწიფოს დაახლოებით ათასი მანეთის ზარალი მიაყენეს.

1980-1981 წლებში ტრესტ „საქკოოპმშენის“ ქსანის, მარნეულისა და თბილისის მოძრავ-მექანიზებულ კოლონებიდან, ტრესტ „საქკოოპრემმონტაჟსპეცმშენის“ № 7 და 9 მოძრავ-მექანიზებული კოლონებიდან და სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველოდან დათხოვნილ მატერიალურ-პასუხისმგებელ პირებზე დღემდე ირიცხება 65,2 ათასი მანეთის სხვადასხვა სამშენებლო მასალა.

განაწესებში შესრულებული სამუშაოს ღირებულებისა და მოცულობის გადიდებით ტრესტ „საქკოოპმშენის“ ქსნის, ზესტაფონის, მარნეულის, თბილისისა და ცხაკაიას მოძრავ-მექანიზებულ კოლონებში, „საქკოოპრემმონტაჟსპეცმშენის“ № 1 მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში და სპეციალიზებულ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში გადახარჯეს 56,5 ათასი მანეთი.

როგორც კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, შემოწმებული ორგანიზაციების სახალხო კონტროლის ჯგუფები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების ეკონომიური ხარჯვის საკითხებს, ვერ აღწევენ მათი უყაირათო ხარჯვის აღმოფხვრას.

შემოწმების მასალები გადაეგზავნა ინსტიტუტის „ცენტროსოიუზპროექტის“ თბილისის ფილიალს, ცეკავშირის გამგეობასა და მის საპროექტო კანტორას, ტრესტებს „საქკოოპმშენსა“ და „საქკოოპრემმონტაჟსპეცმშენს“.

ცეკავშირის გამგეობის ყურადღება მიაპყრეს მათი სისტემის საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებში სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტებს, რაც იწვევს ფულადი სახსრების განიავებასა და მატერიალური რესურსების უყაირათოდ ხარჯვას. მას მოეთხოვა თავის ქვედანაყოფებში სახელმწიფო წესრიგის დასამყარებლად გადაუდებელი ზომების გატარება.

მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების ეკონომიის თაობაზე სახელმწიფო დავალებათა შესრულებისადმი ფორმალური დამოკიდებულებისათვის, რამაც გამოიწვია გადახარჯვები, ცეკავშირის საპროექტო კანტორის, უფროსს რ. გამცემლიძესა და მთავარ ინჟინერს გ. ჩიტაძეს, ინსტიტუტ „ცენტროსოიუზპროექტის“ თბილისის ფილიალის მთავარ ინჟინერს ი. კაბაძეს გადაეცხადათ საყვედური. ამავე დროს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივად ანაზღაურებისთვის გ. ჩიტაძესა და ი. კაბაძეს დაერიცხათ ერთი თვის თანამდებობრივი განაკვეთის შესაბამისად 270 და 220 მანეთი.

სამშენებლო კანონმდებლობის დარღვევების, უყაირათობისა და განიავებისათვის „საქკოოპმშენის“ წყალტუბოს რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის დირექტორს ბ. მიქელთაძეს, ზესტაფონის მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსს თ. სარალიძესა და მარნეულის მოძრავ-მექანიზებული კოლონის მთავარ ინჟინერს თ. ბენდუქიძეს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური, წყალტუბოს რკინა-ბეტონის ნაწარმის ქარხნის, ზესტაფონის მოძრავ-მექანიზებული კოლონისა და „საქკოოპრემმონტაჟსპეცმშენის“ № 9 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მთავარი ინჟინრების გ. ჯიქიას, უ. იონანაძისა და გ. ჩოფიკაშვილს პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად გადაეცა ცეკავშირის გამგეობას.

ტრესტების „საქკოოპმშენისა“ და „საქკოოპრემმონტაჟსპეცმშენის“ უფროსებს გ. ქემოკლიძესა და ი. ქავთარაძეს, „ცენტროსოიუზპროექტის“ თბილისის ფილიალის დირექტორს გ. მებუკეს დაევალათ მშრომელთა მორიგ კრებებზე გამოვიდნენ ინფორმაციით ამ შემოწმების შედეგების და გამოვლენილ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოსაფხვრელად გატარებული ზომების შესახებ.

გადახარჯვებით, სამშენებლო მასალების უკანონო ჩამოწერითა და არადანიშნულებისამებრ გამოყენებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივ დასაფარავად ტრესტ „საქკოოპრემმონტაჟსპეცმშენის“ სპეციალიზებულ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოსა და № 1, 7 მოძრავ-მექანიზებული კოლონების უფროსებს გ. გოგინაშვილს, ა. აბუსერიძეს, დ. ხურციას, ტრესტ „საქკოოპმშენის“ მარნეულის მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსს გ. ნასყიდაშვილს, წყალტუბოს რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის დირექტორს ბ. მიქელთაძეს დაერიცხათ ორი თვის თანამდებობრივი განაკვეთის შესაბამისად 380-400 მანეთი.

საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტს დაევალა წყალტუბოს რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნიდან ამოიღოს მომხმარებლებისათვის უკანონოდ გადახდევინებული 9656 მანეთი და გადარიცხოს რესპუბლიკურ სამომხმარებლო კოოპერატივის შემოსავალში.

ბიბლიოთეკის კუთხე

სახალხო კონტროლი დიდი ძალაა — ასეა დასათაურებული აჭარის ასსრ ა. წერეთლის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში სპეციალური კუთხე, სადაც შრავალი სხვადასხვა დასახელების წიგნი, ცნობარი და ბიულეტენი გამოფენილი. აქ სისტემატურად მოდიან სახალხო კონტროლიორები, ეცნობიან საჭირო მასალებს, მუშაობის გამოცდილებას და შემდეგ იყენებენ მას თავიანთ საქმიანობაში.

სტენდებზე წარმოდგენილია **კანონი** სსრ კავშირის სახალხო კონტროლის შესახებ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ დასტამბული საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ცნობარი, რომელშიც გაშუქებულია რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის, ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის აქტუალური საკითხები, მოცემულია მეთოდოლოგიური კონსულტაციები და რჩევა-დარიგებანი.

აქვეა ლიტერატურა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სახალხო კონტროლი საქციონერო, განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დაწესებულებებში.

ი. ცერცვაძე.

ᲛᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲗ

ᲩᲐᲠᲩᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲘ

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ № 187

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინფორმაციიდან

ნყალში გადაყრილი ათასები

ᲒᲐᲜᲘᲮᲐᲠᲔᲑᲘ ახალქალაქელმა მშრომელებმა, როცა „მთავარ-საქწყალმშენმა“ რაიონში შემოიტანა ჩეხური წარმოების სარწყავი აგრეგატის — „სიგმას“ ექვსი კომპლექტი. იფიქრეს, ალბათ გვეშველა, ჩვენი ნახნავ-ნათესები მაცოცხლებელი წყლით ახალ სიცოცხლეს შეიძენს და ჭირნახულიც მოგვეძალება. განსაკუთრებით ხარობდნენ ხულგუმოს, კორხის, მაჭატიისა და ხანდოს კოლმეურნეებში, ალასტანისა და სულდის საბჭოთა მეურნეობებში, რომლებსაც ეს ძვირფასი აგრეგატები ერგოთ წილად. ძვირფასი-თქო, შემთხვევით არ გვითქვამს, ჯერ ერთი, თავისი დახშულებით ეს მანქანები, მართლაც რომ ძვირფასი საჩუქარი იყო მხვნელ-მთესელებისათვის და, მეორეც, აგრეგატი საკმაოდ ძვირი ღირს — ცალი 44.600 მანეთი. ეს იყო 1978-1979 წლებში. მას შემდეგ საკმაო დრომ გაიარა და... აგრეგატები დღესაც უქმად დგანან.

მართალია, ხულგუმოელმა კოლმეურნეებმა სცადეს მისი გამოყენება, მაგრამ ამაოდ! თურმე, ეუ იტყვიო, აგრეგატის ნორმალური მუშაობისთვის საჭირო ყოფილა კამკამა წყაროს წყალი, მაგრამ არც აქაურებს და არც მათ მეზობლებს არ შეეძლოთ მანქანისათვის ასეთი იდეალური პირობების შექმნა.

ცოტა უფრო მოგებული დარჩენენ ალასტანისა და სულდის საბჭოთა მეურნეობები. მათ ორი წელი მაინც ამუშავეს სატუმბი სადგური, ხოლო სოფელ მაჭატიის კოლმეურნეობაში მოგებული ის დარჩა, ვინც აგრეგატს 6 საბურავი მოსწსა (?!).

ეს ძვირად ღირებული დანადგარები სათანადო დოკუმენტების უქონლობით ღიმღი ბალანსზე არ აუყვანიათ ხულგუმოს, კორხისა და მაჭატიის კოლმეურნეობებსა და ალასტანის საბჭოთა მეურნეობას.

მართალია, რაიონის ხელმძღვანელობას, სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს აწუხებთ უპატრონოდ მიტოვებული დანადგარების ბედ-იღბალი. მათ არაერთხელ მიმართეს სათანადო ზემდგომ ორგანოებს, რათა ეს აგრეგატები გადაეცათ სხვა რაიონებისათვის, სადაც სათანადო პირობები იქნებოდა მათი ექსპლოატაციისათვის, მაგრამ თხოვნა ყურად არვინ იღო.

იმედია, ამ საქმით დაინტერესდება რესპუბლიკაში ახლად შექმნილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი და განახორციელებს ღონისძიებებს, რათა სარწყავ აგრეგატებში გადახდილი 267.600 მანეთი საბოლოოდ წყალში გადაყრილი არ აღმოჩნდეს.

მ. ᲛᲐᲘᲙᲔᲚᲘᲐᲜᲘ,
ახალქალაქის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ

ᲛᲘᲡᲘ აქტიური საქმიანობა დედაქალაქშიც შეიტყვეს. სახალხო კონტროლის ორგანოებში მუშაობისათვის, ზესტაფონის რაიონის არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ლიანა ნებიერიძე სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის სიგელით დაჯილდოვეს.

საკუთარ მიღწევათა შესახებ იგი სიტყვამრავალი მოსაუბრე არ გამოდგა, მორცხვი და მორიდებული იყო. კონტროლიორებს მეტი პრინციპულობა რომ გამოგვეჩინა, — ამბობს ლიანა, — მაშინ სალაპარაკოც ბევრი გვექნებოდა და საბჭოთა მეურნეობაც ზარალით არ დაამთავრებდა გასულ სამეურნეო წელს.

ამ სიტყვების განმარტება ვთხოვეთ მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს გ. კიკნაძეს.

— ლიანა მართალია, — თქვა მან.—არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე იყო ზესტაფონის რაიონში. შარშან პოზიციები დავთმეთ, ჩამორჩენილთა რიგებში აღმოვჩნდით. თუ რატომ მოხდა ეს, თვალნათლივ ჩანს კონტროლიორის მიერ დასმული საკითხებიდანაც.

№ 2 აგროუბნის მეორე საწარმოო ბრიგადაში ზვარების სმეჩხრემ 15 პროცენტი შეადგინა. საკითხი დაისვა დირექციის წინაშე. მიღებული ზომების შედეგად გადაწვენილია 1.500 ძირი ვაზი, მხრები დაუგრძელდა 2.300 ძირს.

ახლახან მისივე ინიციატივით შესწავლილ იქნა საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობა № 1 და № 3 ბრიგადებში, რომლებსაც ვ. დათიაშვილი და რ. ბარბაქაძე ხელმძღვანელობენ. სახალხო კონტროლის მეთაურ ჯგუფში წარმოდგენილ მასალებში დაუფარავად აღინიშნა არსებული ნაკლოვანებანი. კერძოდ, № 1 ბრიგადას თებერვლის 20 რიცხვისათვის მწკრივთაშორის დამუშავებული ჰქონდა 20 ჰექტარი ვენახი, ამდენივე ფართობი გაუსხლავი იყო. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც მესამე ბრიგადაში აღმოჩნდა. დაუმუშავებელი ნიადაგი და გაუსხლავი ხვრები მთაც საკმაოდ ჰქონდათ. არც შესრულებული სამუშაოების ხარისხი იყო დამაკმაყოფილებელი. ამ დღეებში ეს საკითხი პრინციპული მსჯელობის საგანი გახდება. ალბათ საკადრისად მოკეთებებათ ბრიგადირებსაც. ასე აქვთ გადაწყვეტილი საბჭოთა მეურნეობის განსახლებულ ხელმძღვანელებს. ეს უფრო მეტ სიმტკიცეს, პირუთვნელობას და სითამამეს მატებს კონტროლიორს.

მშრომელი ქალის თვალსაწიერი ფართოა. ფეროშენადნობთა ქარხნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით მშენებლები ნარჩენ, უვარგის მასალებს ყრიდნენ № 2 აგროუბნის ეგრეთწოდებული „28-ჰექტარიანი ნაკვეთის“ პირას. შეიქმნა წყლით დატბორვის საშიშროება, ხელი ეშლებოდა მექანიზმების გამართულ მუშაობას. ეს საკითხიც მისი ინიციატივით დაისვა „ზესტაფონმშენის“ სამმართველოს ხელმძღვანელობის წინაშე. სამართლიან მოთხოვნას ანგარიში გაუწიეს, ახლა მსგავსი რამ აღარ ხდება.

სახალხო კონტროლიორი სახალხო საქმეებსაც სწვდება. მშრომელთა მოთხოვნით მან აღძრა საკითხი № 2 აგროგანყოფილების ტერიტორიაზე ყოველღღიური მოთხოვნილების საქონლით მოვაჭრე მაღაზიის გახსნის შესახებ. მეურნეობის დირექციამ გამოყო შესაფერი შენობა, რაიკოოპერატივმა კი საუკეთესო სავაჭრო რიგიქტი გახსნა. ახლა ამ უბნის მშრომელებს შორს აღარ უხდებათ სიარული პირველი მოთხოვნილების საქონლის შესაძენად, რამაც

ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲮᲐᲠᲯᲕᲐ ᲓᲘᲓ ᲖᲐᲠᲐᲚᲖᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ საშენ მასალათა კომბინატის სახალხო კონტროლის მეთაურ ჯგუფს დამსახურებული ავტორიტეტი აქვს მოპოვებული კოლექტივში. ეს იმის შედეგია, რომ სახალხო კონტროლიორთა მიერ მოწყობილი შემოწმებანი დიდად ეფექტიანია, საკითხებს პრინციპულად უდგებიან და დაწყებული საქმე ბოლომდე მიპყავთ.

სახალხო კონტროლიორების აქტიური მუშაობა დადებითს გავლენას ახდენს საწარმოს სამეურნეო მაჩვენებლებზე, ეხმარება კოლექტივს საბოლოო შედეგების მიღწევაში. კომბინატი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო გეგმებსა და დავალებებს. მიღწეული წარმატებებისათვის ამ კოლექტივმა ზედიზედ 27-ჯერ გაიმარჯვა საშენ მასალათა მრეწველობის საკავშირო სამინისტროს სისტემის საწარმოთა შორის. 1964 წლიდან კომბინატი კომუნისტური შრომის საწარმოა.

სახალხო კონტროლიორთა ნაყოფიერი საქმიანობა. შეუმჩნეველი არ რჩებათ პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს, სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს. ამიტომ შემთხვევითი არ ყოფილა ის ფაქტი, რომ ამას წინათ მშრომელთა კონფერენციაზე, რომელიც მეთაურ ჯგუფის ანგარიშგება-არჩევნებს მიეძღვნა, გამოცხადდა კომბინატის დირექტორის ბრძანება მოწინავე სახალხო კონტროლიორების დაჯილდოების შესახებ, ხოლო მ. აბაშიძეს, რომელიც წლების განმავლობაში უნარიანად ხელმძღვანელობდა მეთაურ ჯგუფს, გადაეცა ქ. თბილისის სახალხო კონტროლის ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტის საპატიო სიგელი.

მიღწეული რომ ზღვარი არ არის, ეს ნათლად გამოჩნდა კონფერენციის მსვლელობისას. აღინიშნა, რომ კონტროლიორები ნაკლებად იბრძოდნენ ნედლეულისა და მასალების ზუსტი აღრიცხვისა და ეკონომიური ხარჯვის, შრომის პირობების, საშემსრულებლო დისციპლინის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მეთაური ჯგუფის ბიურომ ვერ მიაღწია ყველა კონტროლიორის აქტიურ ჩაბმას სახალხო კონტროლი საქმიანობაში. გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები სამეურნეო ხელმძღვანელობის მიმართაც.

ახლად არჩეულმა მეთაური ჯგუფის ბიურომ ოპერატიულად შესრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კომბინატში უნარჩენო ტექნოლოგიის მასალებისა და ენერგორესურსების მომჭირნე ხარჯვის რეჟიმის დანერგვას, მზა პროდუქციის ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესებას, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას.

სახალხო კონტროლიორთა წინადადებით პლასტმასის ნაკეთობათა საამქროში ექსპერიმენტის სახით უკვე დაინერგა მომჭირნეობის პირადი ბარათი, რომელიც ითვალისწინებს ნარდად მომუშავე ყოველი მუშის მიერ დახარჯული მასალისა და გამოშვებული პროდუქციის ყოველდღიურ აღრიცხვას.

სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის საორგანიზაციო კრებაზე გადაწყდა პირველი შემოწმების მოწყობა, რომელიც ბეტონის მოზაიკური ფილების საამქროს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი. კერძოდ, არ იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი მარმარილოს ნაფხვენის ფრაქციული კონტროლი, ირღვეოდა ტექნოლოგიური რეგლამენტით გათვალისწინებული დაწნეხვის დრო, დაბალი იყო ქვიშის გაცრის და ფილების ხეზვის ხარისხი. სახალხო კონტროლის მეთაურმა ჯგუფმა განიხილა შემოწმების შედეგები და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად კონკრეტული რეკომენდაციები წარუდგინა დირექციას, რომელმაც თავის მხრივ ოპერატიული ღონისძიებანი განახორციელა; შეიცვალა ტექნოლოგიურ ხაზზე მშრალი ბეტონის ქვიშის გასაცრელი ბადე, გამოიყო პასუხისმგებელი პირი ფილების შრობის პროცესის მართვისათვის და სხვ.

თავის მხრივ სახალხო კონტროლის მეთაურმა ჯგუფმა სპეციალური წერილით სთხოვა მარნეულის რაიონის სადაზლოს კარიერის სახალხო კონტროლის ჯგუფს მარმარილოს ნაფხვენის ხარისხისადმი კონტროლის დაწესება.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲔᲑᲘ. ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲑᲘ

საამქროების კრებებსა და კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კონფერენციაზე კრიტიკული შენიშვნების მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხებოდა კომბინატის ცალკეულ უბნებზე შრომის არადამაკმაყოფილებელ პირობებს, ამ შენიშვნების გათვალისწინებით სახალხო კონტროლის მეთაურმა ჯგუფმა გადაწყვიტა კომბინატის პროფკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად მოეწყო ყველა საამქროსა და უბანზე შრომის პირობების დაცვის დგომარეობის მასობრივი შემოწმება. ამის შესახებ კოლექტივი წინასწარ იქნა ინფორმირებული. მუშა-მოსამსახურეებს დაურიგდათ სპეციალური ანკეტები კონკრეტული შეკითხვებით, რომელთა ანალიზის საფუძველზე შემუშავდა შემოწმების გეგმა. შემოწმებაში მონაწილეობდა სახალხო კონტროლის ყველა საამქრო ჯგუფი. შედეგები განიხილეს სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის გაფართოებულ კრებაზე, რომელსაც დაესწრნენ კომბინატის პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ხელმძღვანელები.

შემოწმების შედეგები გადაეცა ადგილობრივი რადიოქსელითაც. მოეწყო მამხილებელი მასალების ფოტოგამოფენა.

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲨᲕᲐᲡᲣᲜᲔᲑᲘᲡ

ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ. ᲛᲮᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲗᲐ ᲐᲦᲛᲝᲤᲮᲕᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲛᲘᲖᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ. ᲐᲛᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲛᲬᲔᲡᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲝ ᲬᲕᲚᲘᲚᲐ ᲨᲔᲘᲢᲧᲕᲔᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐᲨᲘ. ᲘᲮᲘᲚᲔ ᲐᲥᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲬᲔᲡᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

**ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲛᲬᲔᲡᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲡᲐᲛᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲘ ᲒᲘᲠᲘᲡᲣᲜᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის

სამამულო კინოს ფლაგმანი

კინოსტუდია „მოსფილმის“ დღეებით მთავრდება რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის მინიფესტის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ქვეყნის უდიდესი კინოსტუდიების ფილმების საიუბილეო დათვალიერება საქართველოში. ცხრა დღის განმავლობაში ქვეყნის მთავარი სტუდიის ეშმაკები დაამშვენებს ეფიშებს, ტრანსპარანტებს, საქართველოს კინოთეატრების ფასადებს. ეს სადღესასწაულო დათვალიერება დაიწყება ბათუმში, გაგრძელდება ზუგდიდში, ენგურის მიდროელექტროსადგურის კინოხელოვნების სახალხო უნივერსიტეტში, ჭუთაისში, გურჯაანში და დამთავრდება რესპუბლიკის დედაქალაქში.

— მოსკოველთა შემოქმედებითი ანგარიში, — **თქვა საჭინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, რსფსრ-ის ხალხთა არტისტმა რეჟისორმა ელდარ შენგელაიამ,** — „მოსფილმის“ კოლექტივთან ქართველი მაყურებლის, რესპუბლიკის კინომოყვარეთა დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობის გაგრძელებაა.

ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდანვე კინოსტუდიამ წამოაყენა ადგილი დაიმკვიდრა ქვეყნის კინოხელოვნებაში. მთელი თაობები აღიზარდნენ ფილმებით „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“, „ალექსანდრე ნეველი“, „ლენინი ოქტომბერში“, „სუვორი“, „რაიკომის მდივანი“, „კომუნისტი“. ესეოდენ პუდოვკინი, ალექსანდრე დოვჟენკო, მიზეილ კალატაზოვი, ივანე პირიევი, სერგი ეიზენშტეინი, ათობით სხვა ნიჭიერი შემოქმედი გულმოდგინედ უკვირდებოდა ახალ სინამდვილეს, ეძებდა ოსტატად მელეკვარედ, ფილოსოფიურად ღრმად მოგვითხრობდა მის შესახებ. ფილმის „ჯავშნოსანი პოტომკინის“ ფინალში აფრიალებულმა წითელმა დროშამ ჯერ ჩვენ, ხოლო შემდეგ მთელ მსოფლიოს უჩვენა სოციალისტური იდეალების სალამაზე და დიადი ენერგია, ხალხის შემოქმედებითი შემართება. რევოლუციური რომანტიკით გამსჭვალული სახელოვანი ტრადიციები მოსფილმელებმა ღირსეულად ატარებს წლების, ათწლეულების მანძილზე და დღეს ამ სტუდიის ფილმები ერთხელ კიდევ ადასტურებენ რეალისტური კინოხელოვნებისადმი ერთგულებას.

მოსფილმელები თავიანთ უპირველეს ამოცანად მიიჩნევენ მხატვრული ფორმით აღბეჭდონ და გააიზრონ ისტორიის ყოველი ღირსშესანიშნავი ნაბიჯი, განაზოგადონ მოვლენები, დაახასიათონ ისინი, ამასთან დაეყრდნონ კონკრეტულ, ცხვრებისეულად მართალ ფაქტებსა და ადამიანთა ბედ-იღბალს. „მოსფილმი“ დღესაც ფეხდაფეხ მიჰყვება, ცხოვრობს, ქმნის ყველაზე დიდი მოთხოვნის შესაბამისად: მისი კინოფილმები ალალმართლად ამუქებენ სოციალისტური საზოგადოების ისტორიას, ახალი ადამიანის ხასიათს, ამკვიდრებენ საბჭოური ყოფა-ცხოვრებას.

სამამულო კინემატოგრაფის ოქროს ფონდში შევიდა ფილმები, რომლებიც გადაიღეს რეჟისორებმა სერგი ბონდარჩუკმა, იური ოზეროვმა, იული რაიზმანმა, ივანე ტალანკინმა, გიორგი დანელიამ, ანდრია ტარკოვსკიმ, მარლენ ხუციევმა, ელდარ რიაზანოვმა, გრიგოლ ჩუხრაიმ, გლებ პანფილოვმა, ნიკიტა მიხალკოვმა, სერგი იუტკევიჩმა და ბევრმა სხვამ.

გულდაჯერებით შემოდის კინოხელოვნებაში შემოქმედებითი ახალგაზრდობა. სწორედ ეს ჟრის თაობათა მემკვიდრეობითობის შესანიშნავი ტრადიცია, იგი ადასტურებს, რომ „მოსფილმის“ დღევანდელი დღე საიმედო ხელშია.

მოსფილმის დღეებთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოვა კინოს ოსტატთა დიდი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის სახკინოს თავმჯდომარის მოადგილე, კინოსტუდია „მოსფილმის“ გენერალური დირექტორი ნ. სიზოვი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. კრიუჩკოვი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტები გ. ეგიაზაროვი, ვ. ივაშოვი, ლ. კურავლიოვი, ლ. ფედოსეევა-შუმნინა, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტები ი. ჩურიკოვა, მ. ტერეხოვა და ი. კუპჩენკო, რეჟისორი რ. ფრუნტოვი, კინომსახიობები ე. ციპლაკოვა, ე. ვიტორგანი, ლ. უდოვიჩენკო, „მოსფილმის“ მთავარი რედაქციის სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის წევრი ი. სოფიევა.

რესპუბლიკის კინოთეატრებში გაიმართება პრემიერა ფილმებისა „ვასა“, რომელიც რეჟისორმა გ. პანფილოვმა მაქსიმ გორკის ნაწარმოების „ვასა ჟელეზნოვას“ მიხედვით შექმნა, რეჟისორ რ. ფრუნტოვის „მშფოთვარე კვირა-დღე“, — დღევანდელი დღის პრობლემების შესახებ, რეჟისორ გ. ეგიაზაროვის „მინისკენ“ — ომისშემდგომი პერიოდის მოვლენებს რომ ასახავს, თბილისელები პირველი მნახველები იქნებიან ფილმისა „ღვთაებრივი ანა“, რომელიც ერთობლივად შექმნეს სსრ კავშირისა და ინგლისის კინემატოგრაფისტებმა. რეჟისორ ე. ლოტიანუს მიერ შექმნილი ფილმი გაგვაცნობს შესანიშნავი რუსი ბალერინას ანა პავლოვას შემოქმედებითს გზას. ეს კინოფილმი ნაჩვენები იქნება კინოსტუდია „მოსფილმის“ საზეიმო საღამოზე 10 ივნისს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

მეგობრობის ფართო ეკრანი ქართველ მაყურებელს გააცნობს „მოსფილმში“ უკანასკნელ წლებში შექმნილ საუკეთესო კინოსურათებს.

თბილისში გაიხსნება სსრ კავშირის სახალხო არტისტების მიზეილ ალატაზოვის და მიზეილ კალატოზოვის მემორიალები, რომელთა სახელებთან დაკავშირებული საბჭოთა კინემატოგრაფის გამარჯვებათა, ეკრანის რუსი და ქართველი ოსტატების მეგობრობის ნათელი ფურცლები.

კინოს ფოიეში მოეწყობა ფოტოგამოფენა, რომელიც გვიჩვენებს „მოსფილმის“ მიერ განვლილ ორმოცდაცხრამეტი წლის გზას. ექსპონატები გაგვაცნობენ ეკრანის მხატვართა ნამუშევრებს, დროს, ეპოქას, მოძმე კინოსტუდიებთან ურთიერთობას.

მოსკოველი კინემატოგრაფისტები და მათი ქართველი კოლეგები განაგრძობენ პროფესიულ დიალოგს კინოხელოვნებაში ეროვნულისა და ინტერნაციონალურის პრობლემებზე, ტრადიციებსა და ნოვატორობაზე, მრავალეროვნული საბჭოთა კინემატოგრაფის განვითარების გზებზე.

სტუმრები გაეცნობიან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალ ნამუშევრებს, ესტუმრებიან რეჟისორთა შემოქმედებითს ლაბორატორიებს.

— საქართველოში „მოსფილმის“ მომავალი დღეები, — თქვა დასასრულ ე. შეხგელაიამ, — გულთა ძმური კავშირის დიადი იდეალების მკაფიო დადასტურებაა, რომელიც საფუძვლად უდევს მთელ ჩვენს ცხოვრებას, კიდევ ერთი შთამბეჭდავი ფურცელია იმ დიდი წიგნისა, რომელსაც მეგობრობა ჰქვია.

8 ივნისს საქართველოში

იწყება „მოსფილმის“

დღეები

ნლები და თანამედროვეობა

საქართველო-რუსეთის

მუსიკალური ურთიერთობა

საქართველო-რუსეთის მუსიკალური ურთიერთობის შესახებ საინტერესო და ნაყოფიერი საუბრის ტრიბუნა გახდა მუსიკათმცოდნეთა კონფერენცია, რომელიც 30 მაისს გაიხსნა კინოს სახლში. მის მუშაობაში მონაწილეობენ ცნობილი მოსკოველი და ლენინგრადელი სპეციალისტები, მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები, რომლებიც თბილისში ჩამოვიდნენ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის VII შემოქმედებითს პლენუმში მონაწილეობისათვის.

— რუსი და ქართველი ხალხების მუსიკალურ ურთიერთობას ღრმა ფესვები აქვს, — თქვა თავის მოხსენებაში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ორჯონიკიძემ. — ისინი დასაბამს იღებენ ჯერ კიდევ რეგოლუციამდელ წლებში. საკმარისია გავიხსენოთ გამოჩენილი რუსი კომპოზიტორების მ. გლინკას, მ. ბალაკირევის, ა. რუბინშტეინის, პ. ჩაიკოვსკის, მ. იპოლიტოვ-ივანოვის, ნ. რიმსკი-კორსაკოვის, ს. ტანეევისა და სხვათა სახელები, რომელთა შემოქმედებაშიც ფართოდ აისახა ქართული თემა, გამოყენებულია ქართული ხალხური მოტივები.

ქართველმა კომპოზიტორებმა ზ. ფალიაშვილმა, მ. ბალანჩივაძემ, დ. არაყიშვილმა — პეტერბურგისა და მოსკოვის მუსიკალური სკოლების აღზრდილებმა განაგრძეს ეს კონტაქტები, ახალი შინაარსი შემატეს მათ.

ქართული და რუსული მუსიკალური კულტურების თანამგზრობამ დღეისათვის არნახული გაქანება შეიძინა. იგი ვლინდება ერთობლივი ფესტივალების მოწყობით, გაცვლითი კონცერტებით, პროფესიული დიალოგებითა და შუბვედრებით, რომლებზეც ერთად წყვეტენ ინტერნაციონალურ პრობლემებს მუსიკაში. მისი დიდი დანიშნულებაა იყოს პარტიის იდეების გამტარებელი, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეების მქადაგებელი, ეროვნული კულტურების ურთიერთგამდიდრების წყარო.

ყოველივე საუკეთესო, რაც შექმნილია ქართულ საბჭოთა მუსიკაში მისი არსებობის მთელი ხნის მანძილზე, უცილობლად ადასტურებს: მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარია ინტერნაციონალური მეგობრობის თემა, რომელსაც დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენს მუსიკალურ ხელოვნებაში. სწორედ ამის მეობებით ქართულ მუსიკას შესწევს უნარი დაატყვევოს მსმენელები არა მარტო თავისი შინაარსითა და ემოციურობით, არამედ სხვადასხვა ეროვნების აუდიტორიები გაერთიანოს თავისი ენით და ფორმით.

მოხსენებაში აღძრული პრობლემების ანალიზის ლოგიკური გაგრძელება გახდა პროფესორების მ. დრუსკინისა და ლ. რაბენის გამოსვლები. მათ ილაპარაკეს რუსეთ-საქართველოს მუსიკალურ ურთიერთობებზე, ამ კონტაქტების წარუვალ მნიშვნელობაზე.

კონფერენციაზე გამოვიდა საქართველოს კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, რომელიც შეეხო, კერძოდ, გამოჩენილ კომპოზიტორებთან დ. შოსტაკოვიჩთან და გ. სვირიდოვთან ქართველ მოღვაწეთა მეგობრობის საკითხს.

„რუსული რენესანსი“ დემოკრატიული ენციტიკის როლი ქართული ეროვნული მუსიკალური სკოლის ჩამოყალიბებაში“ — ასეთი იყო დოკლენტ ი. ბახტაძის გამოსვლის თემა. რუსეთ-საქართველოს ადრეული მუსიკალური ურთიერთობისა და XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოს კულტურული ტენდენციების შესახებ ილაპარაკა კონფერენციაზე ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ნ. დიმიტრიადემ.

კონფერენცია მუშაობას განაგრძობს.

გახსნის დღეს კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე. (საინფორმი).

თეატრალური შეხვედრები კიევში

ბოლო **წლების საუკეთესო დადგმებია შეტანილი თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის პროგრამაში, რომლითაც იგი წარხდგება უკრაინის დედაქალაქის მაყურებელთა წინაშე. თეატრის გახტროლები იწყება დღეს, 1 ივნისს. შემოქმედებითი კოლექტივი კიევში მიიწვია უკრაინის თეატრალური საზოგადოების „მეგობრობის“ თეატრმა. იგი ი. ფრანკოს სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე კვირის მანძილზე აჩვენებს სპექტაკლებს — უ. შექსპირის „ოტელო“, დ. კლდიაშვილის „დარიხანის გასაჭირი“ და „უბედურება“, იაპონური ლიტერატურის კლასიკოსის ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“.**

მეგობრების წინაშე გამოსვლა ყოველი შემოქმედებითი კოლექტივისათვის მუდამ ამაღელვებელი მოვლენაა, — **უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მოძმე უკრაინის დედაქალაქში დასის გამგზავრების წინ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა თ. ჩხეიძემ.** — ჩვენთვის ახლანდელი შეხვედრები ორმაგად პასუხსაგებია: ჯერ ერთი — პირველად წარვდგებით კიეველთა წინაშე, მეორე — თეატრი გამოვა ქალაქში, რომელიც დაკავშირებულია გამოჩენილი ხელოვანთან კოტე მარჯანიშვილთან, რომლის სახელსაც ატარებს ჩვენი თეატრი. აქ მის მიერ დადგმული რეჟისორული სპექტაკლი — ლოპე დე ვეგას „ფუენტე ოვეხუნა“ („ცხვრის წყარო“) ახალი საბჭოთა უკრაინის თეატრალური ცხოვრების მოვლენა გახდა. მას შემდეგ ვითარდება ორი მოძმე რესპუბლიკის სცენური ხელოვნების ოსტატთა კავშირურთიერთობა, მდიდრდება ეროვნული კულტურები. ჩვენთვის სასიამოვნოა გამოსვლა ი. ფრანკოს სახელობის თეატრის სცენაზე, სადაც რამდენმე წელს მუშაობდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, რეჟისორი დ. ალექსიძე.

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

დედამიწის საფეკვარი და სიხარული

ამგზავნეს, სტატისტიკა მშრალი და უსახოო. მაგრამ ეს ვარამითა და წუხილით სავსე უტყვი ციფრები ნებისმიერ სიტყვაზე უფრო მრავლისმეტყველია და შეუძლებელია გულგრილად აღიქვა.

ჩაუფიქრდით! მსოფლიოში 500 მილიონი ბავშვი სიღარიბეში ცხოვრობს, 200 მილიონი მუდამ შიმშილობს, 100 მილიონს სახელმძღვანელო საერთოდ არ აუღია ხელში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 50-დან 100 მილიონამდე ბავშვი სხვადასხვა ქვეყანაში იძულებულია მუშაობდეს, რათა შიმშილით სული არ ამოხდეს, ხშირად კი ოჯახის სხვა წევრებიც არჩინონს.

ბრაზილიაში, მაგალითად, ბავშვები 11 საათს ჭრიან შაქრის ლერწამს პლანტაციებში. ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის რიოდე-ჟანეიროს გარეუბნებში ოთხიქვესი წლის ბავშვები სანაგვეში იქექებიან, რამე გასასყიდი რომ მოძებნონ და კაპიკები იშოვონ. ბავშვთა შრომის აღმაშფოთებელი ექსპლოატაციაა ლათინური ამერიკის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში, სადაც გაღატაკებული მშობლები იძულებული არიან თავიანთი 8-11 წლის ბიჭუნები შახტებში ამუშაონ.

პოკინგში მარტო სათამაშოების ფაბრიკებში 25 ათასი ბიჭუნა და გოგონა მუშაობს. ისინი აუტანელ ანტისანიტარიულ პირობებში შრომობენ ზოგჯერ კვირაში 100 საათს.

იტალიაში ყოველი ასი ბავშვიდან ოთხი ლუკმაპაურის ფასად სხვადასხვა (ხშირად მავნე) საწარმოში მუშაობს. მათ შორის უმრავლესობა 10 წლისაც კი არ არის.

კაპიტალისტური სამყაროს უდიდეს ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვთა შრომის კანონმდებლობის დარღვევით 900 ათასი ბავშვი (ზოგჯერ შვიდ წლამდე ასაკისაც კი) სასოფლო-სამეურნეო პლანტაციებში დღეში ათ საათს შრომობს, მუშაობს ჭიჭარლის მრეცხავად, შინამოსამსახურედ და ა. შ.

თანამედროვე მსოფლიოს უდიდეს ნაწილში მოზარდი თაობის ნამდვილად ტრაგიკული მდგომარეობის მიზეზია იქ არსებული სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა. იგი განსაკუთრებით თვალნათლივ ვლინდება შეერთებულ შტატებში. აი რას წერს ვაშინგტონის პოლიტიკის შემსწავლელი ინსტიტუტის თანამშრომელი გ. პარეტი: „ქვეყანაში ტანჯვა-ვაება და სისასტიკე სუფევს, წარამარა ვიღაცეებს ერეკებიან ერთ ადგილიდან მეორეზე, ჯერ ერთ ადგილიდან მეორეზე, ჯერ ერთ ადგილიდან მეორეზე, ბავშვებს ბანაკებში ამწყვეტენ, ბანაკებიდან ციხეებში ... ეს ... ეს ... ეს



„სიხარული“ დმანისში

შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს დმანისის რაიონის ბავშვებმა. გასულ კვირას აქ გაიხსნა საბავშვო ქალაქი „სიხარული“. ქალაქში განლაგებულია სათამაშო მოედნები, კარუსელი, დიდი ატრაქციონი. ქალაქის ცენტრს ამშვენებს ვერცხლისფერი „ტუ-104“, რომელიც დმანისელებს აჩუქა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ. იგი, რომელმაც ჰაერში სამსახურის ვადა დაამთავრა, სიხარულს მიანიჭებს ბავშვებს მიწაზე, ლაინერის პირველ სალონში გახსნილია მუზეუმი, რომლის ექსპონატები ასობავენ საბჭოთა ავიაციის განვითარებას. მუზეუმი მოაწყო დმანისის მკვიდრმა, მრავალი საბრძოლო ორდენისა და მედლის კავალერმა პავლე ციხელაშვილმა. თვითმფრინავის მეორე სალონშია კინოდარბაზი, სადაც უჩვენებენ საბავშვო ფილმებს.

„სიხარულის“ გახსნასთან დაკავშირებით გიმმართა მიტინგი, მიტინგზე სიტყვით გამოვიდა დმანისის რაიაღმასკომის თავმჯდომარე პ. მ. გაჯიევი.

მიტინგის შემდეგ, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, გაიმართა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი. სტუმრების წინაშე გამოვიდნენ ქართული, რუსული, აზერბაიჯანული, ბერძნული, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები.

ამავე დღეს დმანისელებმა კიდევ ერთი დიდი მოვლენა აღნიშნეს: რეკონსტრუქციის შემდეგ მწყობრში ჩადგა ჩაის საწონი ფაბრიკა, რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს რვა მილიონ მანეთისაზე მეტ პროდუქციას.

ამხანაგები გ. ვ. კოლბინი და გ. ნ. ენუქიძე ეწვივნენ საწარმოს, ესაუბრნენ მუშებს, გამოიკითხეს, თუ როგორია მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, მთ გულთბილად მიულოცეს შრომითი წარმატება მშენებლებს, რომლებმაც ვადამდე დაამთავრეს ფაბრიკის ტექნიკური განახლება.

(საქინფორმი).

სურათზე: კინოთეატრი თვითმფრინავში.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲔᲯᲓᲘᲐ ᲥᲐᲮᲘᲫᲔ

ნოგათი ყმაწვილებს

საჩუქარი

თამუნიამ
გუშინწინ
ჩურჩხელები მაჩუქა,
ალარ მაძლევს
გასაქანს,
თან დამყვება
მას უკან!
ვაშლის კრეფა
თამუნას
გუშინ ველარ
ვუშველე,
მაყვედრის და მაყვედრის
არ გაგმეტვო
ჩურჩხელებს.
წყენას გულში
ვიმარხავ,
მაგრამ
თუ არ გაჩუმდა,
ხვალვე
თავის ჩურჩხელებს
უკან მივცემ
საჩუქრად!

გულადი კახა

მე და ჩემმა ღმერთმა —
გულადია კახა,
ზოოპარკში დათვი
თავის თვალით ნახა.
ნახა ვეფხვი, ლომი,
და მამლების ომი,
ახლა სანადიროდ
წასვლა უნდა მგონი.
მაგრამ
კახა-ბიჭმა,
გზაც არ იცის
ხოფლის,
და რაც მთავარია, —
ვერ დაუძრავს
თოფი!

ავადმყოფი

ჩემი გულის მოგება
სახუმარო როდია,
თუმცა ნათესავები
სანახავად მოდიან, —
მე არ მიყვარს
სტუმარი,
მოღუშული
თუ არი,
უფრო მეტად
ძუნწია
ჩემი დასაწუნარი.
ამბა როგორ მოვრჩები,
ამბა როგორ ავდგები,
როცა ჩემთან
არ მოაქვთ
თხილის შოკოლადები.
თუ მომიტანთ შოკოლადს
დიდზე დიდი პარკებით,
მაშინ ჩქარა მოვრჩები,
მაშინ ჩქარა ავდგები!

ირმა

ენად გაიკრიფება
წამოდგება როგორც,
ტიტინებს და ტიტინებს
ირმა, ციცქნა-გოგო.
არ იქნა და ენა
ალარ დაასვენა,
მეშინია პატარავ,
არ გაგიცვდეს ენა!

კატა

მე მინდოდა
ფერადი
ფანქრით დამეხატა
ჩემი ულამაზესი
კუდფუმფულა კატა;
მაგრამ გუშინ
საღამოს
სიცხე მისცა საწყალს,
ცხელ-ცხელი რძე
დალია
ქვეშაგებში ჩაწვა!
ვიცი, როგორც ადგება
არ მოიშლის წინწალს.
რა ვქნა, —
ყელზე ძაღლივით
ვერ შეკვანამ ბაწარს!

სპილო

სპილო მოდის ქუჩაში,
გზა ვერ იტევს
გოლიათს.
უკვირთ
ცხოველია თუ
ფეხადგმული გორია,
უკვირთ!
ხპილოს გარშემო
ახი თვალი
აწთია, —
ნეტავ
ასეთ გოლიათს,
ვინა პყავსო
ნათლია!

დათვი

დალამდება
თუ არა,
ხიმინდს მოუთავრობს,
დაბაჯბაჯებს
დათვურად,
ამტვრევს
მსხვილ-მსხვილ
ტაროებს.
ფუჩეჩს
პატრონს უტოვებს
გაძღება და
შინ მიდის,
დათო, დათო,
დათუჩა,
შენ დათეხე ხიმინდი?

ტურა

ტურა იტაცებს
ცხოველებს, —
ციცარსაც ბამს და
ციყვსაც.
ამ ზაფხულს
ყურებცანცარას
ტურა ხორომდე
მიჰყვა.
ტყავი გაიძრო,
შეეგმა
გვრიტი,
კაკაბი,
კრავი.
ახლა ჩემს საწოლ
ოთახში
ჰფენია
ტურის ტყავი!

კუ

ზურგზე აქვს
მოკიდებული,
კუს საკუთარი სახლი,
კუს გარდა
ამ სახლს არავინ,
არცა კეტავს და
არც ხსნის.
არავის ეპატიჟება
არც თვითონ მიდის
სტუმრად,
დადის თამამად. —
არ ერჩის,
ციყვი,
კურდღელი,
ტურა.
რასაც იშოვის,
თვითონ ბამს,
არავის უყოფს ლუკმას.
ხახლს ხვნეშა-ხვნეშით
მიათრევს
ხულ მარტო ყოფნა
უყვარს.
ამდენმა ტვირთმა ხაბრალოს,
წელი მოწყვიტოს ლამის,
ნეტა მე ვყავდე მეგობრად
ცოტას ვუშველი მაინც!

თხუნელა

შრომობ და შრომობ
მთელი დღე,
არ გაგაჩნია
კვირადღე,
ხულ რომ
მიწით ხარ
მოხვრილი, —
ხულ რომ
თხრი და თხრი
გვირაბებს.
ახლა შენს თავსაც
მიხედე,
ააგე ჭრელი აბანო,
რომ თვეში ერთხელ
თხუნელა,
ეგ პირი
საპნით დაგბანონ.
დროა ისწავლო
თხუნელა,
ლამაზი ჩაცმა-დახურვა,
თორემ უქნარა
კატებიც
არ გიკადრებენ
მსახურად.
თორემ
არავინ გაკოცებს
გაგისტუმრებენ ბოდიშით.
ცოლად არავინ
წაგყვება,
ვერ დაგვპატიჟებ
ქორწილში!

უვნებელჰყავით, და ჩვენც ვიცოცხლეთ!

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ნ. მალაზონიას პლაკატი.

ეს მუშვინიერი, ნათელი სამყარო

დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და მხატვართა კავშირის ბავშვთა სურათების გალერეამ თბილისის განახლებულ უბანში, ბარათაშვილის ხიდთან, სამსართულიან შენობაში იზეიმა ახალსახლობა.

ყოველთვის, ყველგან და ყველა ეპოქაში ხატავდნენ ბავშვები, მაგრამ არასდროს ისეთი დიდი ყურადღება არ ექცეოდა მათს შემოქმედებას, როგორც დღეს და, როგორც ჩვენს ქვეყანაში.

სწორედ ამის დასტურია ეს ნათელი, მზითა და ფერებით სავსე საგამოფენო დარბაზები, სადაც ბავშვთა ნახატებს შევყავართ მათი თვალით დანახულ სამყაროში. ნამუშევრებში იგრძნობა ფერთა სიუხვე, ფანტაზია, თემის მრავალფეროვნება. ბავშვებს აინტერესებთ და იტაცებთ ყველაფერი, რაც მათ გარშემო ხდება. ისინი თავისებურად აღიქვამენ და ხატავენ ქალაქსა თუ სოფელს,

მზესა თუ მთვარეს, მთასა და მთის წვერზე წამომართულ კოშკებს, ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას...

რა დიდი მონდომება და სიყვარულია ჩაქსოვილი ამ ჭრელ პეიზაჟებსა და ხეცსურულ წინდებში, ნაბადსა და ფარდაგებში, რა გემოვნებით არის შესრულებული ბაწია ქვევრები და ჭინჭილები, ქონთები და ფაალები... აქვეა ხის ნაკეთობანი „შვიდკაცა“ და „მოცეკვავენი“, ყანჩა და ქართული ორნამენტები...

„ბავშვთა ნაწარმოებები, — ჩაუწერია შთაბეჭდილებათა წიგნში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ჟორჟ მარშეს — რომლებიც მე ვნახე, აღსავსეა ცხოვრებისეული სიმართლითა და პოეტური გრძნობით“.

ნიჭიერი მოზარდის აღმოჩენა და მისი შემოქმედებითი ძალების გამოვლენა ბავშვთა სურათების გალერეის კოლექტივის უპირველესი ამოცანაა. გალერეა დიდ როლს ასრულებს ნორჩთა ესთეტიკური აღზრდისათვის. აქ მათ ხატვის გაკვეთილებიც უტარდებათ, — გამოცდილი პედაგოგების დახმარებით სწავლობენ ფერთა საიდუმლოებას, საგნების აღქმას, უსმენენ მუსიკას, ეცნობიან ფილმებს ცნობილ მხატვრებზე, აწყობენ ექსკურსიებს ისტორიულ ძეგლთა დასათვალიერებლად და სხვა.

საბჭოთა პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ყმაწვილების აღზრდას ემსახურება მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ბავშვთა ნამუშევრების მუდმივი გამოფენები, რომლებითაც ისინი თავიანთი თანატოლების ხელოვნებას, მათს ცხოვრებას, ფიქრებსა და ოცნებებს ეცნობიან.

ი. ასათიანი.

სურათზე: მერეკალსელი მოსწავლის დავით რატიანის ნამუშევარი—„ძველი თბილისის ერთი ეერი კუთხე“.

სამართლის ნორმით და სინდისის კანონებით

სასამართლო დარბაზიდან

21-24 მაისს თბილისის საქალაქო რაიონის სახალხო სასამართლო თ. შანიძის თავმჯდომარეობით განიხილავდა ვალენტინა სერაპიონის ასული ფაილოძის სისხლის სამართლის საქმეს. მას ბრალად ედებოდა ქრთამის მიცემისათვის არაერთგზის წაქეზება! სასამართლო განხილვის დროს დადგინდა შემდეგი. გასული წლის მაისში ვ. ფაილოძემ გაიცნო ბარბარე მ. და, როცა შეიტყო, რომ ამ ქალს ვაჟი მოკლეს, ხოლო მკვლელს, ვინმე ე. კირტავას სიკვდილით დასჯა შეუცვალეს თხუთმეტი წლის პატიმრობით, განაცხადა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გაკვლენიანი ნაცნობები მყავს, რომლებიც 3.000 მანეთად მიაღწევენ მკვლელის დახვრეტასო. ბარბარე მ.-მ ნათესავებისა და ნაცნობების დახმარებით მხოლოდ ათასი მანეთი შეაგროვა, მაგრამ ფაილოძეს არც ამ თანხაზე უთქვამს უარი.

თითქმის იმავდროულად ფაილოძე ქრთამის მიცემისათვის აქეზებდა კიდევ ერთ ქალს. ქეთევან ჯ-ის ვაჟს მკვლელობისათვის მისჯილი ჰქონდა სასჯელის უმაღლესი ზომა. ვ. ფაილოძე მასაც დაპირდა, რომ 3 ათას მანეთად „საიმედო ადამიანები“ შეწყალებას მიაღწევდნენ. როგორც წინა შემთხვევაში, ფული ისესხეს ახლობლებისაგან (ამჯერად, მთლიანი თანხა) და გადასცეს ფაილოძეს.

არანაკლებ მნიშვნელოვანი დეტალი: მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ეს სამართალსაწინააღმდეგო მოქმედება ხდებოდა, ვ. ფაილოძე აქტიურად უჩვენებდა დაზარალებულს თავის შესაძლებლობებსა და ნაცნობობას, რომელიც, მისი თქმით, შორს სცილდებოდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. იგი მათ უჩვენებდა ბლანკებს გრიფით „ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაცია „ინტერნეიშნლი“. ერეკავდა მოგონილ „გავლენიან ჩალხს“, მოსკოვში აკრედიტებულ უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტებს, რომლებმაც არაფერი არ იცოდნენ ამ საქმის შესახებ. ფაილოძე აინუნშიაც არ აგდებდა თანამოსაუბრეთა გაოცებას, და მაშინაც კი, როცა ისინი უკიდებდნენ ყურმილს, მადლობას უხდიდა მათ „დახმარებისათვის“, კითხულობდა, თუ რა ბედი ეწია ვითომდა თავის დაწერილ სტატიებს, საკუთარ ყოვლისშემძლეობაში არწმუნებდა მასთან ერთად სალაპარაკო პუნქტში მისულ ქალებს.

როცა მოვიდა ცნობა, ქეთევან ჯ.-ის ვაჟი შეიწყალესო, ფაილოძემ თავის დამსახურებად გასაღა ეს. იგი ქეთევანის ოჯახში ორ „სოლიდურ“ მამაკაცთან ერთად მივიდა. ერთ მათგანს თეიმურაზ ბერეკაშვილს მთელ ქვეყანაში ეძებდნენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის. ფაილოძემ მასპინძლებს ისინი გააცნო ისეთ პიროვნებებად, რომლებსაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ იმაზე, რომ ხელახლა არ გადაესინჯათ გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, დამატებით საზღაურად — 3000 მანეთად.

მაგრამ მოქალაქე ჯ.-მ უარი თქვა შეესრულებინა ფაილოძის მოთხოვნა და თავის მხრივ მოითხოვა დაებრუნებინათ წინათ მიცემული თანხა. მაღე იგივე მოითხოვა



ბარბარე მ.-მაც, მაგრამ ფაილოძე მრავალი თვის მანძილზე უარს ამბობდა დაებრუნებინა ფული, შეურაცხყოფას აყენებდა ქალებს.

დაზარალებულებმა მიმართეს საქართველო რაიონის პროკურატურას (ფაილოძის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით). 1983 წლის 16 მარტს პროკურატურამ ვ. ფაილოძის წინააღმდეგ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ქრთამის მიცემისათვის წაქეზების ბრალდებით. გამოძიების დროს მიღებული მასალების შესწავლის შედეგად იმავე თვეში გამოიტანეს დადგენილება მისი დაპატიმრების შესახებ. სასამართლოზე ფაილოძის დანაშაული დამტკიცდა მთელი დამჯერებლობით, მათ შორის, ოცზე მეტი მოწმის ჩვენებებითაც. ამაზე შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა, მთელი რიგი ერთის საგულისხმო გარემოებანი რომ არა.

ვალენტინა ფაილოძე მორწმუნეა. ყოველ შემთხვევაში ასეთია მისი თვითატესტაცია, „მისი აშკარად გამოხატული პოზიცია. რას იზამ, ეს მისი სინდისის საქმეა, რომელიც დედამიწის ზურგზე არავითარ სასამართლოს არ ექვემდებარება. ჩვენთან ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, მაგრამ მორწმუნეთა უფლებებს კანონი იცავს, რელიგიური რწმენისთვისაც არავინ არ იდევნება.

საზოგადოებათმცოდნეობის საკოლო სახელმძღვანელოს ფარგლებში ჩამოყალიბებული ყველა ეს მეტად ელემენტარული ჭეშმარიტება ახლა იმასთან დაკავშირებით გაგვახსენდა, რომ დასავლეთის ანტისაბჭოურ წრეებში გაძლიერებით ავრცელებენ ზმებს, „თითქოს ფაილოძე დაზარალდა რწმენისა და სამოქალაქო უფლებების დაცვისათვის“.

ეს მტრებისათვის მეტად ხელსაყრელი „ლეგენდა“ — წამებულის ეკლესიანი გვირგვინი—ყურადღებას აშორებს მისი სინდისის ნამდვილი წყლულებისაგან.

87 წლის თვითნასწავლი მხატვრის ვანო მელიაშვილის სახელსა და შემოქმედებას ესოდენ ფართოდ მხოლოდ დღეს გაეცნენ ხელოვნების მოყვარულნი. მისი ნამუშევრების გამოფენა ბავშვთა სურათების გალერეაში ახლახან გაიხსნა.

ასეთ ნაგვიანევ დებიუტში „ბრალი“ აღბათ თვით ვანო პაპას (ასე ეძახის მას ყველა) დიდ მოკრძალებას მიუძღვის. ხატავ! და ვანო პაპა თავისთვის, და თუმცა მისმა ნაცნობებმა იცოდნენ მისი გატაცების ამბავი, ბევრისთვის მაინც უჩინარი იყო.

„შავნაბადა“, „ხევსური ქალი“, „მეცხეთა“, „ჩემი მშობლები“, „დედაჩემი მოვიდა“, „კინტო“, „თამარ მეფე“, „თელავი“... საოცარი უშუალობა იგრძნობა ნამუშევრებში, ფიროსმანის ფერტილოებიც გვახსენდება. მართლაც არის ზოგი რამ საერთო საქვეყნო ცნობილ ნიკალასა და ბევრისთვის ჯერ კიდევ უცნობ ვანო მელიაშვილს შორის. ფიროსმანს პირადად იცნობდა ვანო პაპა, თურმე უსაუბია კიდეც მასთან.

სურათები აცოცხლებენ მშობლიურ სოფელ ტუშურებს, თელავისა და თბილისის კოლორიტს. მხატვარს ყველაზე დიდ სიხარულს ბავშვები ანიჭებენ. საკუთარი არა ჰყოლია, მაგრამ ბავშვებთან იყო მეტწილად, საბავშვო ბაღის დარაჯად მუშობდა. ამიტომ არის, რომ მისი ნახატებიდან ბავშვური სიწმინდით, სათნოებითა და მიამიტობით აღქმული სამყარო იმზირება.

და ალბათ, მამოლურიც არის რომ თბილისი ბავშვთა სურათების გალერეაში მოწყობილი გამოფენით ეცნობა ამ საინტერესო თვითნასწავლ მხატვარს.

ნ. ლეთოდიანი.

ნაგვიანევი დებიუტი

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი

რესპუბლიკის საზოგადოებრიობისათვის ცნობილია სასამართლო პროცესი თავზე ხელაღებული კომბინატორების საქმის გამო, რომლებიც წლების მანძილზე მოქმედებდნენ თელავის რაიონის თეძრი წყლების წვენების საწარმოში.

გამფლანგველთა დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზატორმა უშანგ კერესელიძემ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაითრია ათობით პირი და ხილის წვენების ფალსიფიკაციით განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ფულად სახსრებს ითვისებდა, რითაც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა.

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენით უ. კერესელიძეს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა—დახვრეტა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უარყო მისი შუამდგომლობა შეწყალების თაობაზე.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი. (საქინფორმი).

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ზაფხული გვეწვია

ივნისი ზაფხულის პირველი თვეა. ასტრონომები წელიწადის ამ დროის დასაწყისად მზებუდობის დღეს, 22 ივნისს თვლიან, როცა ჩვენს ნახევარსფეროში უმოკლესი ღამე და ყველაზე ხანგრძლივი დღე აღინუსნება. პირობითად, ზაფხულის დასაწყისად ის დღე ითვლება, როცა ჰაერის საშუალო ტემპერატურა 15 გრადუსს აღემატება. ამ ნიშნით თბილისში ზაფხული 1 მაისს, ხოლო ლენინგრადში 16 ივნისს იწყება. სოხუმში კი ივნისი ზაფხულის მთავარი თვეა.

კლიმატური მონაცემებით, საქართველოში ივნისის თვის საშუალო ტემპერატურა მაისთან შედარებით 2-4 გრადუსით მაღალია ხოლმე.

როგორი იქნება წლევანდელი ივნისის თვე?

თბილისის ამინდის ბიუროს გრძელვადიანი პროგნოზით ივნისში ჰაერის საშუალო ტემპერატურა საქართველოში ძირითადად ნორმალური იქნება, დასავლეთ საქართველოს შიდა დაბლობ რაიონებსა და ქართლის ვაკეზე კი ნორმაზე რამდენადმე მაღალი.

ნალექების საშუალო ჯამი ჩრდილო სახაპირო რაიონებსა და აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ნორმაზე მეტია, მოსალოდნელი, დანარჩენ რაიონებში კი ნორმალური და ზოგან — ნაკლები.

შედარებით გრილი და წვიმიანი ამინდი იქნება თვის დასაწყისსა და მეორე დეკადის შუა რიცხვებში. დანარჩენ დღეებში კი ხანმოკლე წვიმები და ელჭექია მოსალოდნელი. მაქსიმალური ტემპერატურა სანაპირო რაიონებში 22-27 გრადუსს მიაღწევს, დაბლობ რაიონებში კი 27-32 გრადუსს.

ვ. კოპალეიძე,

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს განყოფილების უფროსი.

ᲡᲐᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

დღის წესრიგშია სპარტაკიადა

VIII 83

ტაშკენტი დასასრულს მიუახლოვდა სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული გუნდური შეჯიბრება ჩოგბურთში. გუშინ მთავარ ფინალურ ჯგუფში (I-VIII ადგილები) გამმართა ბოლოსწინა ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: უკრაინა-რსფსრ — 6:2, ბელორუსია-მოსკოვი — 0:8, ლატვია-საქართველო — 6:5, ესტონეთი-აზერბაიჯანი — 6:2. ბოლო ტურის წინ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: მოსკოვი და უკრაინა — 6-6 ქულა, ლატვია და ბელორუსია — 3-3, საქართველო და რსფსრ — 2-2, ესტონეთი და აზერბაიჯანი — თითო ქულა.

დღეს უკრაინელები ხვდებიან მოსკოველებს, ბელორუსიელები—აზერბაიჯანელებს, ლატვიელები—ესტონელებს, საქართველოს გუნდი კი რუსეთის ფედერაციის კოლექტივთან ითამაშებს.

რაც შეეხება მომდევნო, IX-XVII ადგილებს, ისინი უკვე ასე განაწილდა: IX. უზბეკეთი, X. სომხეთი, XI. ლენინგრადი, XII. ტაჯიკეთი, XIII. ყაზახეთი, XIV. მოლდავეთი, XV. ლიტვა, XVI. ყირიგზეთი, XVII. თურქმენეთი.

გადამწყვეტი ეტაპის წინ

საფრანგეთის ქალაქებში ლიმოჟსა და კანში დასრულდა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის საწყისი ეტაპი. ქვეჯგუფებში ბოლო სამი ტურის მატჩები ასე დამთავრდა: „ა“ ჯგუფი. **ლიმოჟი.** საბერძნეთი-იტალია — 83:108, იუგოსლავია-შვეიცია — 103:84, საფრანგეთი-ესპანეთი — 73:75, იუგოსლავია-საბერძნეთი — 77:76, საფრანგეთი-იტალია — 80:105, ესპანეთი-შვეიცია — 81:76, იტალია-იუგოსლავია — 91:76; „ბ“ ჯგუფი. **კანი.** პოლონეთი-ისრაელი — 62:64, ჩეხოსლოვაკია-ჰოლანდია — 90:63, სსრ კავშირი-გფრ — 90:69, გფრ-პოლონეთი — 85:82, სსრ კავშირი-ჰოლანდია —112:63, ჩეხოსლოვაკია-ისრაელი — 89:93, ჰოლანდია-პოლონეთი — 73:62, ჩეხოსლოვაკია-სსრ კავშირი — 80:100. საბჭოთა სპორტსმენებმა ქვეჯგუფში ხუთი შეხვედრა გამართეს და ხუთივე მოიგეს.

ნახევარფინალურ მატჩებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს იტალიელმა, ესპანელმა („ა“ ჯგუფიდან), საბჭოთა და ჰოლანდიელმა („ბ“ ჯგუფიდან) კალათბურთელებმა. ამ ეტაპის შეხვედრები გაიმართება ქალაქ ნანტში. 1 ივნისს ითამაშებენ სსრ კავშირისა და ესპანეთის გუნდები, 2 ივნისს — იტალიელები და ჰოლანდიელები. 3 ივნისს მოეწყობა შეხვედრა III ადგილისათვის, ხოლო 4 ივნისს — I ადგილისათვის.

რედაქტორი
ვ. ბედინეიშვილი.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-53, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ჯგუფის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, აღბილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მეზრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 202-94-92; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-89; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყაროს — 23-66; ტყიბული — 25-82.

COMMUNISTI INDEKS 66434 უე 07625 საქართველოს კპ ცკ-ის ბეჭდვითი ორგანოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — მოგზაურთა კლუბი. 10.45 — ლიტვური ხალხური მუსიკის კონცერტი. 11.10— მხატვრული ტელეფილმი „იპოვე სახლი შენი“. 12.20 — და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 17.00 — მხატვრული ტელეფილმი „ყველაფერი კატთ დაიწყო“. 18.15 — გამოგვეხმაურეთ, მეგუკენო! 19.00 — რსდმპ მეორე კრილობის 80 წლისთავის გამო. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მეცნიერება და ცხოვრება. 20.30 — „ტუნისელ მსახიობთა გამოსვლა. 20.45 — მხატვრული ტელეფილმი „შეხვედრა თოვლიან მთებში“. პირველი სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ფეხბურთი. ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. შესვენებისას — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმები. 9.50 — მხატვრული ტელეფილმი „გრანიტის კუნძულები“. 12.10 — თქვენთვის, მშობლებო! 12.40 — მხატვრული ფილმი „ჩემი პირველი მეგობარი“. 13.45 — გერმანული ენა. 14.15 — ტელესპექტაკლი. 15.00 — ა. შაჰვაზარიანი — კონცერტი ვიოლინისა და ორკესტრისათვის. 15.35 — ა. კუპრინი. ცხოვრება და შემოქმედება. 16.20 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — მერვე სპარტაკიადა. ჩოგბურთი. 20.00 — „გახსოვს, ამხანაგო...“. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — კაპიტალიზმის სოციალური კონტრასტები. 22.00 — „ვრემია“. 22.35 მხატვრული ტელეფილმი „მეშკას შვილიშვილი“ (ეგრ).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პატარები“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — დოკუმენტური ფილმი „გულუბრალო ბავშვებს“. 11.20—მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ციხკარა“ მხატვრული ფილმი „გასაიდუმლოებული ქალაქი“. 12.30 — დოკუმენტური ფილმები: „გულახდილი საუბარი“ და „სვეტლანა სემინიუკის ყვავილები“. 13.00 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.30 — მათემატიკის ტელეკურსი. 15.00 — ა. მაჭავარიანი. კონცერტი ვიოლინისა და ორკესტრისათვის (მ.). 15.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბავშვთა ნახატების გამოფენა“. 15.55 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.25 — მულტიპლიკაციური ფილმი — „ჯადოსნური საზამთრო“. 16.35 — ბავშვებისათვის „მხიარული შეჯიბრება“. 17.20 — კონცერტი „აბა, დელია“. 18.05 — გადაცემა „ჩვენ 13 წლისანი ვართ“. 18.45 სატელევიზიო პლაკატი „დე, მუდამ იყოს მშვიდობა!“. 19.00 — „საუბრები პარტიაზე“ რსდმპ მეორე კრილობის 80 წლისთავის გამო (მ.). 19.45 — „მოამბე“. 20.15 — საქართველოში კინოსტუდია „მოსფილმის“ დღეებთან დაკავშირებით „ამბავი ნამდვილ ადამიანებზე“ — მხატვრული ფილმი „ასი დღე ბავშვობის შემდეგ“. 21.55 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — შესარჩევი მატჩი ფეხბურთში ევროპის პირველობაზე ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები (გადაცემა ფინეთიდან). შესვენების დრო (23.20) ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თეთრი აგარაკი“. 17.20 — განცხადებები. 17.25 — მხატვრული ფილმი „შემოჭრა“.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სალომე; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სამიდან ექვსამდე (პრემიერა); თბილისის სახელმწიფო დრამატული — „პრაკუნე ჭიმჭიმელი.

ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ

ვია „იევრიაᲐ“ — „არგონავტები“ (დიდ საკონცერტო დარბაზში).